საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 1038/ს

30 10 2019 წ.

ქ. თბილისი

**ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსის“ პროფესიული მომზადების პროგრამების დადასტურების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ხარისხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის კოორდინატორის 2019 წლის 30 ოქტომბრის №14779744 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დადასტურდეს ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსის“ პროფესიული მომზადების პროგრამები:

ა) პურ-ფუნთუშეული/ფენოვანი ცომით ნამცხვრების მომზადება (მეორე დონე);

ბ) საკონდიტრო მინი ნაწარმის მომზადება (მეორე დონე);

გ) ბისკვიტის ცომით ნამცხვრებისა და სერიული წარმოების კრემიანი ტორტების მომზადება (მეორე დონე);

დ) ხორცის დამუშავება და ხორცპროდუქტების მომზადების ტექნოლოგია (მეორე დონე);

ე) კერძების მომზადების ტექნოლოგია (მეორე დონე).

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ მახარაშვილი